ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №416

ქ. ბათუმი, 03 მაისი 2016 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრასთან, გადაბელვასა და მათ განკარგვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრაზე/გადაბელვაზე შეთანხმების (ნებართვის) გაცემის უფლებამოსილება მიეცეს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს“.

2. ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრაზე/გადაბელვაზე შეთანხმების (ნებართვის) გაცემისას ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს, წინამდებარე ბრძანებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და უზრუნველყოს ამ აქტებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესრულება.

3. სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (მათი თანხმობით) ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ან/და საზოგადოებრივ სივრცეებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოები, მათ შორის ტერიტორიის მოწესრიგება აწარმოოს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა“. ასეთ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს“.

4. თუ სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ან/და საზოგადოებრივ სივრცეებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის შეთანხმებას (ნებართვას) ითხოვს მესამე პირი, საჭიროა განცხადებას თან ახლდეს მესაკუთრის თანხმობა (გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობისა, რადგან წინამდებარე ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებულ ტერიტორიებზე და საზოგადოებრივ სივრცეებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოების წარმოებისა და შეთანხმების გაცემის უფლებამოსილება დელეგირებული აქვს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს“). ასეთ დროს მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოები, მათ შორის ტერიტორიის მოწესრიგება და შეშის ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს მიერ მითითებულ ადგილზე გადატანა უნდა აწარმოოს პირმა, რომლის მოთხოვნის საფუძველზე ხდება მწვანე ნარგავების მოჭრა ან გადაბელვა, ხოლო ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა“ უნდა დააწესოს კონტროლი სამუშაოების გაცემული შეთანხმებისა და არსებული აგროტექნიკური ნორმების შესაბამისად განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც ხდება მწვანე ნარგავების მოჭრა ან გადაბელვა ან/და პირს, რომელიც მასთან არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე უშუალოდ აწარმოებს მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოებს.

5. ცალკეული ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სარეკრეაციო ტერიტორიაზე ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს მიერ გაცემული შეთანხმების (ნებართვის) შესაბამისად მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოები, მათ შორის ტერიტორიის მოწესრიგება, უნდა აწარმოოს მესაკუთრემ/მოსარგებლემ, ხოლო ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა“ კონტროლი უნდა დააწესოს სამუშაოების გაცემული შეთანხმებისა და არსებული აგროტექნიკური ნორმების შესაბამისად განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტერიტორიის მესაკუთრეს/მოსარგებლეს ან/და პირს, რომელიც მასთან არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე უშუალოდ აწარმოებს მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოებს. მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოებზე შეთანხმების (ნებართვის) გაცემის წესი არ ვრცელდება ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ არასარეკრეაციო ტერიტორიაზე.

6. წინამდებარე ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის შედეგად წარმოქმნილი შეშის შენახვა უნდა განახორციელოს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა“ (ბრძანების მე-4 პუნქტის გათვალისწინებით), ხოლო მისი განკარგვის უფლებამოსილება აქვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას (ამისათვის შექმნილ შესაბამის კომისიას). ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის შედეგად წარმოქმნილი შეშის განკარგვის უფლებამოსილება აქვს ტერიტორიის მესაკუთრეს/მოსარგებლეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“ არ არის უფლებამოსილი განიხილოს მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის საკითხი და მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, თუ:

ა) ტერიტორიაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა და მწვანე ნარგავების მოჭრა საჭიროა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტებით გათვალისწინებული ობიექტის ასაშენებლად;

ბ) ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოჭრა უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის საკითხი რეგულირდება „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2011 წლის 24 ივნისის №96 ბრძანებით;

გ) ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრა უკავშირდება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №24 დადგენილებით გათვალისწინებულ საქმიანობას.

8. წინამდებარე ბრძანების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრაზე ან გადაბელვაზე გადაწყვეტილებას ღებულობს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს თანხმობის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, თუ მწვანე ნარგავები განთავსებულია სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე ან/და საზოგადოებრივ სივრცეებში, მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის თაობაზე განცხადებას (შესაბამის დოკუმენტაციას) თან უნდა ახლდეს მესაკუთრის თანხმობა (გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობისა, რადგან წინამდებარე ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე და საზოგადოებრივ სივრცეებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოების წარმოებისა და შეთანხმების გაცემის უფლებამოსილება დელეგირებული აქვს ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს“). ასეთ დროს მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოები, მათ შორის ტერიტორიის მოწესრიგება და შეშის ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს მიერ მითითებულ ადგილზე გადატანა უნდა აწარმოოს პირმა, რომლის მოთხოვნის საფუძველზე ხდება მწვანე ნარგავების მოჭრა ან გადაბელვა, ხოლო ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურმა“ უნდა დააწესოს კონტროლი სამუშაოების გაცემული შეთანხმებისა და არსებული აგროტექნიკური ნორმების შესაბამისად განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც ხდება მწვანე ნარგავების მოჭრა ან გადაბელვა ან/და პირს, რომელიც მასთან არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე უშუალოდ აწარმოებს მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადაბელვის სამუშაოებს.

9. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი
ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი